ნომერი: 06-01222272147-01
თარიღი: 15.08.2022 17:22
ვადა: 15.09.2022

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მისამართი:
განცხადების N: 05/1713 განცხადების თარიღი: 15.08.2022
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

აბანოთუბანში მდებარე საფეხმავლო გზის (კიბე) პრივატიზების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 06-01222272147-01
15.08.2022 : 17:22
ქ. თბილისი, ჭ.შარტავას ქ. N7

04.07.2022

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალურ დირექტორს

ბატონ ნიკოლოზ აზნაურაშვილს,

მოგმართავთ თხოვნით, რათა დავიცვათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. მოგეხსენებათ, აბანოთუბანი ოდითგანვე გამოირჩეოდა მისი არქიტექტურით და კიბე ბილიკებით. აბანოთუბანში, მირზა შაფის ქუჩაზე მიმდინარეობს რამდენიმე სასტუმროს მშენებლობა. ჩვენი სურვილია, ჩვენივე ხარჯებით მოვაწყოთ მირზა შაფიდან ლეღვთახევამდე დამაკავშირებელი გზა-კიბე. აღნიშნული კიბე ნაწილობრივ მოწყობილია, დარჩენილია მირზა შაფიდან ჩასასვლელი 15 მეტრიანი მონაკვეთი, რომლის მიტაცებასაც, მიწის ნაკვეთის კოორდინატების ცვლილების გზით ცდილობს შპს“ ხალედ ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი“.

ის არსებობდა და დღესაც არსებობს რთულ რელიეფზე აღმართ-დაღმართ მაკავშირებელი კიბე-ბილიკებით, რომელმაც დღემდე მოაღწია აბანოთუბნის აღნიშნულ რელიეფზე როგორც, ძველი თბილისის ქალაგეგმარებითი ძეგლის სიძველის ნაშთმა, მრავალი ამგვარი კიბე-ბილიკები დღემდე ფუნქციონირებენ: სეიდაბადში, ციხის უბანში, კალასა და სოლოლაკში, მთაწმინდაზე და ზოგადად ციცაბო ფერდობების ძველ განაშენიანებებში.

წარმოგიდგენთ სათანადო დოკუმენტაციას, რომ არ დაირღვეს ურბანული ქსოვილი და არ გაუარესდეს ისედაც არცთუ სახარბიელო კომუნიკაცია აბანოთუბანსა და ხარფუხს შორის.

შპს“აბანო 7“ (202451364)

დირექტორი :

ვაჟა ჩუბინაშვილი



თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით. 1735.



1 მეფის სასახლე
2 დედოფლის სასახლე
3 კარის საყდარი
4 მეფის მოედანი
5 ბატონიშვილის სასახლე
6 აბჩისხატი
7 ამილახვარის სახლი
8 ბატონიშვილის სახლი
9 ლუარსაბისა
10 მუხრანის ბატონისა
11 სიონი
12 თბილელის ჭარვასლა
13 მელიქის ჭარვასლა
14 მეფის ფუნდუკი
15 ციხის მეიდანი
16 ნიკოლოზის საყდარი
17 ციხის საყდარი
18 მაღალი ციხე
19 სტამბოლის გოდოლი
20 შაიხტაბტი
21 კოერის კარი
22 დიღმის კარი
23 მეიდნის კარი ხიდით
24 ჭყვიშო კარი ხიდით
25 ვანქი
26 სასაფლაო სომეხთა
27 მეიდნის სასახლე
O განჯის კარი
28 მეიდანი ანუ ასპარეზი
29 ყაიბულას ბაღი
30 საბაზიერო მეფისა
31 სასაფლაო თათრისა
32 ციციშვილის სახლი
33 ჭაშოეთი
34 კალობანი
35 არაგვის ერისთავის სახლი
36 სომხის საყდარი
37 ბეჟანას ჭარვასლა
38 მამასახლისის ბაღი
39 დედოფლის ბაღი
40 მეფის დიდი ბაღი
41 ამარათი
42 თბილელის ბაღი
43 სალალაკისწყალი
44 იშუტრუჭი
45 მთაწმინდა
46 ტბილისის ხიდი ციხიდამ
47 ტბილისის ბაღი სეიდაბადისა
48 ხალათგარი
49 მთაბორი
50 თათართ საფლავი
51 ციხის ბაღი
52 ოქუანთ ხიდი
53 წავკისისწყალი
54 ყრწანისის ბაღი
55 მეტეხი ციხით
56 ავლაბარი, ისნი
57 სომხის საყდარი
58 ბერძნის საყდარი
59 მელიქის საყდარი
60 ბებუთას ბაღი
61 სომხის საყდარი
62 ჩუღურეთი
63 კვირაცხოელი
64 ახალი სოფელი
65 ახალი ბაღი მეიდნისა
ა ქალა ანუ ტბილისი
ბ მამასახლისის საყდარი
გ სომხის საყდარი
დ ლათინთ საყდარი
ე ბეჟანას ბაღი
ვ მოღნისი
ზ კლდისუბნის საყდარი
ი სეიდაბადი ან ტბილისი
ია ხიდი ავლაბრისა
იბ გარეთუბანი
იგ ავლაბრის კარი
იდ მდინარე მტკვარი
გზა
ღელე
ოხრილი
გორა
ფრანგთ საფლავი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990118258223922

№05/1713

15 / აგვისტო / 2022 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

განსახილველად გიგზავნით სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ შპს „აბანო N7-ის“ (ს.კ: 202451364) დირექტორის, ვაჟა ჩუბინაშვილის 2022 წლის 04 ივლისის N3090 წერილს, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში მირზა შაფის ქუჩის ქვედა ფერდზე შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.04.019.007) მომიჯნავედ მდებარე საფეხმავლო გზის (კიბის უჯრედი) პრივატიზების საკითხს.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის პირველი
მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო გულოშვილი